

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N----

ქ. ოზურგეთი

„—“ დეკემბერი 2017 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საკითხთა სამსახური დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ,ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 25-ე მუხლების შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საკითხთა სამსახური დებულება თანახმად დანართისა.

მუხლი 2. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს №18 დადგენილება, „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის N12 დადგენილება, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს №19 დადგენილება და „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საქმეთა და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილება.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საკითხთა სამსახურის დებულება

**თავი I
ზოგადი დებულებანი**

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საკითხთა სამსახური სამსახური

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საკითხთა სამსახური (ტექსტში შემდგომ-სამსახური) არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეული, რომლის უფლებამოსილებები, ვალდებულებები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზება განისაზღვრება ამ დებულებით.

2. სამსახურს აქვს ბლანკი და ბეჭედი სამსახურის სრული სახელწოდების აღნიშვნით.

3. სამსახურის სამტატო ნუსხა და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების სისტემის გათვალისწინებით.

4. სამსახურის ადგილსამყოფელია ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქ.№1.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „ზოგადი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონები, „კულტურის შესახებ“, „სპორტის შესახებ“, საქართველოს კანონები, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, საკრებულოს რეგლამენტი, მერიის დებულება და ეს დებულება.

2. სამსახურის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს მერი.

**თავი II
სამსახურის სტრუქტურა**

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების - განყოფილებებისაგან.

2. სამსახურის განყოფილებებია:

- ა) ადრეული და სკოლამდელი აღზრდის განყოფილება;
- ბ) სპორტის და ახალგაზრდობის საკითხთა განყოფილება;
- გ) განათლების საკითხთა განყოფილება;
- დ) კულტურის განყოფილება;

თავი III

სამსახურის ძირითადი ფუნქციები

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

- ა) კულტურის და ადგილობრივი თვითმყოფადობის, სპორტისა განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- ბ) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი კულტურისა და სასპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების მართვა, მათი რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების პროექტების მომზადება;
- გ) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის უზრუნველყოფა;
- ე) ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და განვითარების ხელშეწყობა;
- ვ) ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაციის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა;
- ზ) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობის შესახებ წინადადებების მომზადება და შესაბამისი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;

თავი IV

სამსახურის მართვა, სამსახურის მოხელეები და მათი უფლება-მოვალეობები

მუხლი 4. სამსახურის მართვა

1. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მერიის დებულების მე-9 მუხლით და მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საკითხთა სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მერის ბრძანებით სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს სამსახურის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი.

2. სამსახურის განყოფილება შედგება განყოფილების უფროსისა და განყოფილების მოხელეებისაგან.

3. განყოფილების საქმიანობას წარმართავს განყოფილების უფროსი, რომლის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მერიის დებულების 21-ე მუხლით და შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობით. განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის ბრძანებით, განყოფილების უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს განყოფილების ერთ-ერთი მოხელე.

4. განყოფილების მოხელეების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მერიის დებულების 25-ე მუხლით. განყოფილების მოხელეების ფუნქციები განისაზღვრება შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობებით.

5. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და სამსახურებრივი კარიერის გავლის წესები განისაზღვრება მერიის დებულებითა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად.

მუხლი 5. სამსახურის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის განყოფილების ფუნქციები

1. სამსახურის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

- ა) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მართვას;
- ბ) სკოლამდელი განათლების პროგრამების, დამხმარე მეთოდოლოგიური და სასწავლო რესურსების შემუშავებასა და გავრცელების ხელშეწყობას;
- გ) სკოლამდელი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით კვლევების ჩატარებას;
- დ) სკოლამდელი განათლების პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, მათ შორის, მშობელთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის გაზრდის ხელშეწყობას;
- ე) ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობას სკოლამდელი განათლების საფეხურებზე;
- ვ) სკოლამდელი განათლების დაწესებულებების კონსულტირებასა და მხარდაჭერას სკოლამდელი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის სისტემის ხელშეწყობის მიზნით;
- ზ) მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის კოორდინაციას;
- თ) მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 6. სამსახურის სპორტის და ახალგაზრდობის საკითხთა განყოფილების ფუნქციები

სამსახურის სპორტის და ახალგაზრდობის საკითხთა განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

- ა) სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას;
- ბ) სპორტის მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;
- გ) მუნიციპალური სტადიონების, სპორტული მოედნების, საცურაო აუზების, სპორტული კომპლექსების მართვას;
- დ) მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობას;
- ე) ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით წინადადებებისა და მუნიციპალურ პროგრამათა მომზადებას;
- ვ) წინადადებების შემუშავებას ახალგაზრდობის და გენდერული თანასწორობის საკითხებზე;
- ზ) ახალგაზრდობის პრობლემების შესწავლას, წინადადებათა შემუშავებას არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;
- თ) სათანადო პროექტებისა და საქმიანობების განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს მოზარდებისა და ახალგაზრდების თავისუფალი დროის ორგანიზებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას;
- ი) ნიჭიერი მოზარდებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას;
- კ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობის პირობების შექმნას;
- ლ) შეიმუშავებს ძირითად მიმართულებებს პატრიოტულ-აღმზრდელობით საქმიანობისა და ქართულ არმიამში სამსახურისათვის ახალგაზრდობის მოსამზადებლად;
- მ) ახალგაზრდობის ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ პრობლემების შესწავლას;

ნ) თავისი კომპენტეციის ფარგლებში მონაწილეობს ახალგაზრდებს შორის დამნაშავეობის, ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის, პროსტიტუციის წინააღმდეგ გამართულ აქციებსა თუ კომპანიებში;

ო) მოქმედი კანონმდებლობით, მერის დებულებით და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 7. სამსახურის სკოლის გარეშე განათლების საკითხების განყოფილების ფუნქციები

სამსახურის სკოლის გარეშე განათლების საკითხების განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) სკოლის გარეშე განათლების პროგრამების, დამხმარე მეთოდოლოგიური და სასწავლო რესურსების შემუშავებასა და გავრცელების ხელშეწყობას;

ბ) სკოლის გარეშე განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით კვლევების ჩატარებას;

გ) სკოლის გარეშე განათლების პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, მათ შორის, მშობელთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის გაზრდის ხელშეწყობას;

დ) სკოლის გარეშე განათლების დაწესებულებების კონსულტირებასა და მხარდაჭერას სკოლის გარეშე განათლების განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის სისტემის ხელშეწყობის მიზნით;

ე) მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სკოლის გარეშე განათლების დაწესებულებების მუშაობის კოორდინაციას;

ვ) მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 8. სამსახურის კულტურის განყოფილების ფუნქციები

სამსახურის კულტურის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) კულტურის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას;

ბ) კულტურის მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

გ) მუნიციპალური მუზეუმების, კულტურის სახლების, თეატრების, სახელოვნებო სკოლების და კულტურის სხვა დაწესებულებების მართვას;

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების, კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ნიმუშების, ფოლკლორის, ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, მემორიალური, რელიგიური, ესთეტიკური, მხატვრული, მეცნიერული თუ სხვა კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვას, დაცვას, შენარჩუნებას და პოპულარიზაციას;

ვ) მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო რესურსების აღრიცხვას, მოვლას და საბიბლიოთეკო სერვისების განვითარებას;

ზ) მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საკითხთა სამსახურის“ დებულების დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები: ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა) პროექტის შემუშავება განპირობებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს ამოქმედებით და მიზნად ისახავს ამ კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში მეორადი სტრუქტურული ერთეულის შექმნას და შესაბამისი უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების განსაზღვრას.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა) პროექტით გათვალისწინებულია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საკითხთა სამსახურის“ უფლებამოსილებები, ვალდებულებები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზება.

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას, ზოგად დებულებას, სამსახურის სტრუქტურას, სამსახურის ძირითად ფუნქციებს, სამსახურის მოხელეების უფლება-მოვალეობებს და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის დანიშნულება.

2. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას. ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

გ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

3. პროექტის

ავტორია: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

4. პროექტის

წარმდგენი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

5. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2017 წლის ----- დეკემბერი.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი: კონსტანტინე შარაშენიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი.